კვირა, ივნისის 22 1919 წ. ფასი 1 მანეთი. № 115

ყოველ კვირეულ

ჩვენი ქვეყანა

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 2 მ. 3 თვით 50 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარეთან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 12 საათამდე 25 მ., 12 საათის შემდეგ 30 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი, ფოსტის ყუთი № 80.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენი ქვეყანა“-ს რედაქციის კანტორასთან დაარსდა გაზეთის ფონდი. მოქალაქენო გაიღეთ შემოწირულებანი. გაზეთის გამოცემის საქმე მკითხველთა თანაგრძნობაზეა დამოკიდებული.

კვირას 22 ივნისს ქუთაისში მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი სომხებთან ომში გმირულად დაკარგულის პოდპოლკოვნიკ

ანდრია ნესტორის ძე დადიანის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი ვერა ალექსანდრეს ასული დადიანისა, ძმა ვლადიმერ ნესტორის ძე დადიანი ოჯახობით, დები ივლიტე ნესტორის ასული ჩიჩუასი, პელაგია ნესტორის ასული დადიანისა და სიძეები გიორგი კოსტანტინეს ძე ჩიჩუა და დავით (ფუხუ) კირილეს ძე დადიანი. პანაშვიდის დასაწყისი 11 საათზე. 3—3

კვირას, 22 ივნისის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში დილის 11 საათზე გადახდილი იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი თბილისის მოქალაქის

ნიკოლოზ მიხეილის ძე შენგელიას

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ ნათლის მამა და ნათლის დედა შვილებითურთ ალექსანდრე თემურაზის ძე და ოლღა სიმონის ასული სანიკიძეები. 2—2

მშობლები: ალექსანდრე და მარიამი მღებროვები; ძმები: ვანიკო, მიხეილი და სერგო; ბიძა ბიჭიკო ჯანოევი, დეიდები დესპინე ჯანოევის ასული და ვერა ქოჩოროვისა მამიდები: მარიამ და ელისაბედი მღებროვისა, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ-ნაცნობთ და მეგობართ, რომ 17 ივნისს ქ. ქუთაისში უეცრად გარდაიცვალა მათთვის საყვარელი სახალხო მასწავლებელი

შუშანა ალექსანდრე მღებროვის ასული

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საადზე. პოლიციის ქუჩა, ჯანოევის სახლი № 2. გამოსვენება მოხდება კვირას ნაშუადღევის 4 ს. საფიჩხიის სასაფლაოზე. 2—2.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მარიამ ფილიპეს ასული, ვაჟიშვილები ვლადიმერი და რომანი, ქალიშვილები ნატალია, საშა და ელენე (ჰუტუ) უგრინოვიჩისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს დაუვიწყარის და ძვირფასის

კონსტანტინე (კოწია) თეოხარის ძე

მკურნალის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე დასაფლავება ცალკე იქნება გამოცხადებული. 2—1

მაქვს (1000) ათას ფუთამდე გამომწვარი

რკო შაპისათვის.

იყიდება მხოლოდ მთელი პარტია. მსურველს შეუძლია მომაკითხოს ვარციხის ნაციონალურ მამულში ყოფილი ანანოვისა.

პატივისცემით ლავრენტი ბუილიშვილი.

ენათ მეცნიერების და ლიტერატურის

კურსები.

ქართული, ფრანგული, გერმანული, რუსული,

გრამატიკა, ფონეტიკა, სემანტიკა, ლიტერატურა. კურსებზე მეცადინეობა დაიწყო ივნისის 20. მისამართი: ძველი თბილისის ქუჩა, კლდიაშვილის სახლი.

ქუთაისის რეალური სასწავლებლის მასწავლებელი კ. ბ. **ქაპანელი.**

სოციალისტური თეორია და პრაკტიკა.

სოციალიზმი იყო და დარჩა ვიწრო კლასიურ გულის თქმათა გამომხატველ დოკტრინათ.

მისი შეხედულებით საზოგადოებაში მოქმედებენ და პირველი ადგილი უჭირავსთ უარყოფით ანუ მრღვეველ ძალებს.

კაცობრიობის ისტორიულ პროცესის დამახასიათებელ მოვლენათ სოციალისტური აზროვნების მიხედვით, კაცთა შორის შუღლი და მტრობა უნდა ჩაითვალოს, რომელსაც საფუძვლად ქონებრივი უთანასწორობა ან, როგორც სოციალისტები იტყვიან, ინტერესთა წინააღმდეგობა უძევს.

თანამეროვე ცხოვრებაში ეს შუღლი და ბრძოლა უმალლეს წერტილს აღწევს, მეტათ მწვავე და მძაფრი ხასიათს ღებულობს.

კლასთა შორის ამნაირი მტრული განწყობილობა მოისპობა მხოლოთ მაშინ, როდესაც ამ მტრობის საფუძველი აღარ იქნება. ე. ი., როდესაც ადამიანს სადავო და გასაყოფი არასფერი იქნებათ.

ეს კი იმნაირ წესწყობილებას შეუძლია, რომლის დროს სრული ნივთიერი გათანასწორება მოხდება, როდესაც აღარ იქნებიან არც ღარიბნი და არც მდიდარნი.

ამ წესწყობილებას, რომელსაც ამნაირი სასწაულის მოხდენა შეუძლია, ჩვეულებრივ, სოციალიზმს უწოდებენ.

მან უნდა ბოლო მოუღოს ადამიანთა შორის იმ თავითვე არსებულ განუწყვეტელ ბრძოლას და დაუნდობლობას და ქვეყნათ სიყვარული და სათნოება გაამეფოს. აღსანიშნავია, რომ ამ უაღრესათ ჰუმანიური აზრების განხორციელება, სოციალიზმის მიხედვით, შეუძლია მას, ვინც არსებულ საზოგადოებაში ყველაზე უფრო დაინტერესებულია დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების სტრუქტურის შეცვლით და ახალი, სოციალისტური ურთიერთობის დამყარებით.

ეს კი საზოგადოების ულარიბესი ნაწილია, რომელიც, დღევანდელ პირობებში, ყველაზე უფრო მეტათ განიცდის ჩაგვრას და დამცირებას.

სოციალისტური წეს-წყობილება შეუძლებელია ერთ ქვეყანაში არსებობდეს და მეორეში კი არა.

დაახლოვებით ყველგან უნდა მოხდეს სოციალისტური ტრანსფორმაცია, გადატრიალება.

ამ ცვლილების აგენტი, მომხდენი, მშრომელი ხალხია, დემოკრატიაა.

რადგანაც სოციალიზმი საერთო მიზანი ყოფილა, ყველა ქვეყნის მაშვრალი და ტვირთ-მძიმენი უნდა შეერთდენ, შეკავშირდენ ამ მიზნის განხორციელებისათვის.

საზოგადოების დემოკრატიული ნაწილის ამნაირ შეერთებას, ინტერნაციონალიზმი ან, უკეთ, რომ ვსთქვათ, ინტერნაციონალური სოლიდარობა ჰქვია, რომელიც თავის არსებობით უარყოფაა ეროვნული მომენტის და დემოკრატიის ვიწრო, ეგოისტური თვალსაზრისის გაბატონება. ამნაირ ხასიათის არის **თეორეტიულათ** სოციალისტური დოკტრინა დღეს ჩვენ ადვილათ შეგვიძლია იმის დაფასება თუ რამდენათ შესაძლებელი შეიქნა ამ მოძღვრების წარმტაც პირობების ცხოვრებაში გატარება.

ყველაზე უფრო დიდი მარცხი სოციალისტურ სწავლის იმ დებულებას მოუვიდა, რომელიც უარყოფს ეროვნულ-ბრძოლის და მიმართულების საფუძვლიანობას და კაცობრიობის ხსნის და ხალხთა განთავისუფლების ერთად-ერთ საშვალებათ ინტერნაციონალური სოლიდარობის პრინციპი მიაჩნია.

თანამედროვე მსოფლიო ომის ბიმდინარეობა, რომელსაც უპირველესათ და განსაკუთრებით ეროვნული ინტერესი ამოძრავებდა და დღევანდელი სოციალური მოძრაობა, აშკარა მაჩვენებელია ნაციონალიზმის უზენაესობის, მმძლეთა მძლეობის და ინტერნაციონალური ლოზუნგის სიცალიერის და მისი სრული გაკოტრების.

ამას მტკიცება აღარ ესაჭიროება იმდენათ ნათელი და თვალსაჩინო არის ყველასათვის.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, თუ რა მოგვცა სოციალიზმა თავის საბოლოო მიზნის განხორციელების მხრივ. მართლა დაამყარა მან სანუკველი თანასწორობა და შეუძლია თუ არა განახორციელოს ქვეყნათ სასურველი ურთიერთობა ადამიანთა შორის?

სოციალიზმი დღეს ბოლშევიკური მოძრაობის სახით მოევლინა და ევლინება კაცობრიობას

რუსეთში ბოლშევიკური სახის „სოციალიზმი“ კიდევაც განხორციელებულათ უნდა ჩაითვალოს.

ევროპაშიაც იყო, რაოდენადმე, ამნაირი ცდა, რომელმაც ვერ მოიპოვა ნიადაგი და მალე გაქრა. ასე რომ, სოციალისტური ექსპერიმენტის შედეგები რუსეთის ცხოვრების მიხედვით, შეიძლება, იქნეს განხილული.

რუსეთში დამყარებულმა „სოციალიზმა“—კი, ჯოჯოხეთი დაატრიალა ადამიანისათვის აუტანელ ცხოვრების პირობები შექმნა. ამ მართლაც, „უცნაურობის და მოულოდნელობის“ ქვეყანაში.

თანასწორობის და სამართლიანობის ნაცვლათ, რასაც სოციალიზმი ისახავდა თავის მთავარ მიზნათ, კიდევ მეტი უსწორ-მასწორობა და სიბოროტე განმტკიცდა და დაკანონდა.

შრომა რომლის განთავისუფლებაზე ამდენს ლაპარაკობენ სოციალისტები, საბჭოთა სამეფოში, გაცილებით უფრო ცუდ პირობებში იმყოფება და იჩაგრება.

მართალია, შრომის კერძო დამქირავებლები, ეგრეთ წოდებული, კაპიტალისტები მოსპეს და ამ უკანასკნელის როლი სახელმწიფოს მიაკუთვნეს, სხვა და სხვა საწარმოვო და სავაჭრო დაწესებულებათ ნაციონალიზაციის მიხედვით, მაგრამ ამით ოდნავვათ არ გაუმჯობესებულა შრომის პირობები.

პირიქით ამ ცვლილებით გამოწვეულმა ეკონომიურმა კრიზისმა უარეს მდგომარეობაში ჩააყენა მშრომელი ხალხი, რომელიც, წარმოების შესუსტების გამოისობით, უმუშევრათ რჩება და საშინელ გაჭირვებას განიცდის.

ახალი ბატონები მუშებს თავისუფლათ მოქმედების საშვალებასაც უსპობენ.

ამათ არ შეუძლიათ არ დაექვემდებარონ „სოციალისტურ“ სახელმწიფოს აგენტების ბრძანებას და განკარგულებას. ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის, ხელფასის მომატებისათვის არ შეიძლება გაფიცვა, სოციალისტურ სახოგადოებაში.

მართალია, რუსულმა სოციალიზმა ბოსპო კერძო საკუთრება და წარმოება საზოგადო საქმეა. გამოაცხადა, მაგრამ ამ ცვლილებამ ვერ გამოიღო სასურველი და მოსალოდნელი ნაყოფი შრომა დაქირავებული დარჩა, ხალხის ნივთიერმა გაჭირვებამ, ზნეობრივმა დაცემამ და ბინებრივმა ჩამორჩენამ უმწვერვალეს საფეხურამდე მიაღწია.

სოციალიზმი თანასწორობას მოითხოვდა, რაც მდიდრებისგან ქონების ჩამორთვევას გულისხმობს ამ უკანასკნელი სიმდიდრე წაერთვათ და მართლაც, ყველანი **თანასწორათ** ღარიბი და ლატაკი შეიქნა. ყველა **თანასწორათ** მშიერ მწყურვილი და შიშველ-ტიტველი დარჩა.

ამნაირათ, რამდენათ **თეორეტიულათ** სოციალიზმი მშვენიერი, წარმტაცი და ჰუმანიურ მოძღვრებათ, **გვეჩვენებოდა** იმდენათ მისი პრაკტიკულათ განხორციელების ცდა უნაყოფო და საზარალო შეიქნა საზოგადოებისათვის, რომელმაც მისი განხორციელება განიზრახა.

ჩვენი მიზანი კაცობრიობის ცხოვრების

გაუმჯობესება უნდა იყოს, ადამიანს, გაუმჯობესებულ სოციალურ ცხოვრებაში, წინანდელზე კარგათ უნდა ეცხოვრებოდეს: უკეთესათ უნდა იკვებებოდეს იცვამდეს და იხურავდეს.

უფრო მეტი გონებრივი განვითარების და ზნეობრივი სიმაღლის მქონე უნდა იქნეს.

ყოველი ეკონომიური და სოციალური ცვლილება ამ თვალსაზრისით უნდა იყოს დაფასებული.

თუ ამ მიზნის მიღწევა, როგორც ზემოთ დავინახეთ, ვერ შესძლო სოციალიზმი, იგი უარყოფილ უნდა იქნას სხვა გზით და საშუალებით უნდა მოხდეს დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებით და უკეთესი მერმისის შექმნა.

ალ. თორაძე

ახალი საზოგადოება.

ერთი უმთავრესი მიზეზი ჩვენი სიღარიბისა და ნივთიერი ხელმოკლეობისა იყო ჩვენში ვაჭრობა-მრეწველობის განუვითარებლობა. რუსეთის შემოსვლამ ჩვენში წერტილი დაუსვა ეროვნულ შემოქმედებას ყოველ დარგში და კერძოთ ვაჭრობა-მრეწველობაში. მთელი მეცხრამეტე საუკუნე გავიდა რუსეთის ბატონობაში და ამ ხანაში მთავრობის „მფარველობა“ იმაში გამოიხატა, რომ ჩვენში გამეფდა რუსის ფული, უცხოეთის კაპიტალი, რადგან კაპიტალი რუსეთსაც არა ქონდა,—და ამის გამო მთელი წარმოებაც სხვის ხელში იყო; ქართველი შეიქნა მაყურებელ თავის ქონების ექსპლოატაციისა და უკეთეს შემთხვევაში შავი მუშა ანუ ნედლ მასალაზე დასამატებელ მასალათ.

სიღარიბეს და ნივთიერ ხელმოკლეობას აქამდიც ვგრძნობდით, მაგრამ ეს უფრო თვალსაჩინო შეიქნა ახლა—რევოლიუციის დროს, როცა მსოფლიო ბაზარს დავშორდით და რუსეთის ნაწარმოები მოგვაკლდა. ერთი მხრათ საბედნიერო და სანეტარო იყოს რუსეთი ჩამოშორება, მაგრამ მოუწყობელ შინაურ ფინანსიურ პოლიტიკას და ცარიელ ბირჟას დაუდექით წინ. რა ოქმნა უნდა ყოველივე ეს გარდამავალია და თუ პოლიტიკური ქარტეხილი გადავიტანეთ ფინანსიური მხარეც თავის თავათ მოწესრიგდება, მაგრამ შეუჩვეველი ხალხი სუსტია და აქ ბევრი რამ სახიფათოა მოსალოდნელი.

დღეს, განთავისუფლების ხანაში პირისპირ დაუდექით ევროპის ბაზარს და საჭირო შეიქნა პირდაპირი კავშირი. ჩვენდა საბედნიეროთ მომწოდებელიც ბევრი გავიჩდა სხვადასხვა საჭირო ნაწარმოებისა და მუშტარიც ბლომათ ამოგვიჩდა ჩვენი ნედლი მასალისა და ბუნებრივი ნივთიერი სიმდიდრისა. ვინც კი მოვიდა ჩვენში გერმანია, ამერიკა, ინგლისი თუ იტალია—ყველამ მეტი ყურადღება ჩვენს მრეწველობას მიაქცია და სწორეთ ამ საგანზე გავიმართეს ლაპარაკი. საგულისხმოა, რომ უცხოელთა მისიის შემადგენლობაში ყოველთვის იყო კომერციის წარმომადგენლები და მათ აზრს მთელი მისია ყურადღებით ეპყრობოდა. მათთან დაახლოვებამ და საფუძვლიანათ მოლაპარაკებამ ჩვენი მთავრობაც და ჩვენი საზოგადოებაც დაარწმუნა, რომ ჩვენი ქვეყანა ყველასათვის საყურადღებოა, ჩვენ ქვეყანას კარგათ შეუძლია კავშირი იქონიოს მსოფლიო ბაზართან, მაგრამ შინაური მოუწყობლობისა და სისუსტის გამო ეს სიჩქარით ძნელი მოსახერხებელი შეიქნა. აი ერთი ცხადი მაგალითი ამ გარემოებისა.

ამერიკის წარმომადგენელმა ისურვა პური მოეცა ჩვენთვის რამდენსაც კი მივსთხოვდით, მაგრამ ვისთვის უნდა მოეცა ფაკტიურათ? კერძო პირს არც ერთი გონიერი კაპიტალისტი ან ფირმის მეპატრონე იმდენს არ ანდობს, რაც მთელ სახელმწიფოს დასჭირდება, მთავრობა ყველაფრის მუშტრათ არ გამოდგება და არც ყოფილა ისეთ სისტემაზე აგებული სახელმწიფო, რომ ყველაფერი მთავრობა ეყიდოს და ხალხისთვის ერიგებინოს, მაშ ვისთვის უნდა მიეცა ამერიკას პური მთელი საქართველოს რესპუბლიკისთვის საჭირო? უნდა მიეცა საააქციონერო საზოგადოებისთვის, რომელსაც მთავრობის დასტურიც ექნებოდა, მსხვილი საწარმოო თანხაც ხელში ეჭირებოდა და შემოტანილი ნაწარმოების განაწილების წესიც იცოდინებოდა. ერთათ ერთი მუშტარი, რომელთანაც ამერიკის მსხვილ ფირმას შეეძლო კომერციულ ენაზე ლაპარაკი, იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ საააქციონერო საზოგადოება. მეორე სუბიექტი ჩვენი მხრით არც შეიძლებოდა. სამწუხაროთ სწორეთ ასეთი საზოგადოება ამერიკის წარმომადგენელმა ჩვენში ვერ ნახა, ვერ ნახა და შიტომაც ვერავის დაელაპარაკა ისე, რომ ამ ლაპარაკს ჩვენში პური შემოეტანა ისე როგორც მოითხოვდა მთელი რესპუბლიკის საჭიროება.

რაც პურზე ითქმის, იგივე უნდა ვსთქვათ სხვა დარგის ნაწარმოებზე. რაც ამერიკის წარმომადგენელზე ვსთქვით, იგივე უნდა ვსთქვათ სხვა ქვეყნის წარმომადგენელზე.

ამგვარათ ცხადათ დავინახეთ, რომ ჩვენი სხვილი წარმოება, საიმედო კავშირი უცხოეთის ბაზართან, სრული დაკმაყოფილება ყოველგვარი საჭირო ნაწარმოებით ჩვენი თავისუფალი რესპუბლიკა ისე არ შეგვიძლია, თუ არ იქნა ჩვენში **საააქციონერო საზოგადოება**, რომელსაც ექნება მთავრობისგან დამტკიცებული წესდება, მთავრობის ხაზინაში მსხვილი თანხა და კარგათ მოწყობილი საოპერაციო ტეხნიკა. აი ამ ნიადაგზე აღმოცენდა ინიციატივა ახალი საააქციონერო საზოგადოების დაარსებისა. აი ამ გარემოებამ აიძულა მთავრობაც და საქმით დაინტერესებული საზოგადოების წევრებიც, რომ საჩქაროთ ესეთი ორგანიზაცია გაჩენილიყო.

ასეთი საზოგადოება უკვე შესდგა, წესდება დამტკიცებულია, თბილისს და ქუთაისში კომიტეტები უკვე შემდგარია, საჩქაროდ სდგება კომიტეტები პროვინციის სხვა და სხვა ქალაქებში და ამ დღეებში საჯაროთ გამოცხადდება ყველაფერი და გაიცემა აქციები.

დღეს ჩვენში საკმაოდ არის მომზადებული ნიადაგი, რომ ასეთი საზოგადოება დიდმნიშვნელოვანია, ეს ნივთიერათაც დაინტერესებს წევრებს და იდეურათაც ფასდაუდებელი საშუალება იქნება ეროვნული ვაჭრობა მრეწველობის ასაყვავებლათ.

ყოველი ზომები მიღებულია, რომ საზოგადოებამ მალე დაიწყოს მოქმედება და დროით შეიკრას კავშირი უცხოეთის ბაზართან.

დადგა გამოფხიზლების ხანა და თუ გასაღვიძებელია მძინარი ქართველი, გაიღვიძებს და თუ ახლაც არ გაიღვიძა—მერე სულ აღარ გაიღვიძებს.

ტრიფონ ჯაფარიძე.

დეპეშები.

საქ. დეპ. სააგენტო.

20 ივნისი.

ბალშევიკების ცნობები.

მოსკოვი ივნისის 19. სამხედრო ცნობა. ივნისის 19. ჩრდილოეთის ფრონტი. არხანგელსკის რაიონში: ჩრდილოეთით დენინის მიმართულებით მფრინავებმა სოფ. პეტროპავლოვსკაიაზე 40 ყუმბარა ჩამოაგდეს ონეგის რაიონში ჩყენმა ჯარმა კოჟეოზორის (?) მონასტრიდან მტერი გამოდევნა. მოწინააღმდეგემ მონასტერი დასტოვა მურდანის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სოფ. ფედოროვსკენ დაიხია. პეტროზავოდსკის რიონში ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა, ახალი პოზიციები დაიჭირა. ფინეთის ყურეს სამხრეთ ნაპირზე ჩვენი შეტევა გრსელდება კრასნაია-გორკის სამხრეთ-დასავლეთით მდ. ვორონკასთან რამოდენიმე სოფელი დაიჭირეთ. ლუგის რაიონში სადგ. პლიუსთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ნევის რაიონში ჩვენმა ჯარმა ტერსკაია დაიჭირა. დენინის რაიონში ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია. სევენციანის მიმართულებით კონტრ-იერიშებით მოწინააღმდეგე უკან დავახევინეთ. სამხრეთის ფრონტი კუპიანის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ურანთეო დასტოვა „კუბრაკოვო ნოვოალექსანდროვსკას ხაზზე ბრძოლაა. ბოგუჩარ კალაჩის რაიონი: ჩვენმა ჯარმა ურანოეო დასტოვა. ცარიცინის რაიონში ჩვენი ჯარი კონტრ იერიშებზე გადავიდა. დაიჭირა სადგ. კოროპონოვო და 400 ტყვეთ წამოიყვანა, ხელთ იგდო 6 ტყვიისმფრქეველი და თოფები. მოწინააღმდეგის იერიშები მოვიგერიეთ და მტერი დავამარცხეთ. ასტრახანის რაიონში ბრხოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა ახალ პოზიციებისაკენ დაიხია. აღმოსავლმთის ფრონტი. ორენბურგის რაიონში მტერმა ზურბოჩისტინსკაისთან შემოგვიტია, მაგრამ უკუვაგდეთ. სტერლი ტამაკის რაიონში ჩვენ იურაკტაუ დავიჭირეთ. უფას რაიონში ჩვენი ჯარი მდინარე ზელინზე გადავიდა და შეტევას განაგრძობს. მდ. უფაზე ჩვენი ნაწილი მარცხენა ნაპირზე გადავიდა და სადგ. იგლინოს უტევს. სარატულის რაიონში, კრასნო-უფის რკინის გზაზე ჩვენ სდ. იანაული დავიჭირეთ. ეოტკინის რაიონში, ოსინის მიმართულებით ჩვენი ჯარი ბრძოლით ჩრდილო-აღმოსაალეთით 50 ვერსზე გამოვიდა, პერმის რაიონში ჩვენმა ჯარმა სტარო-კარინის და ბოლშოი-კეზუდავსკი დაიჭირა.

ინგლისური პრესის ცნობები.

პოლონეთის ჯარის გერმანიაში გადაყვანა უკვე დასრულდა.

„ფორვერტს“-ში ჰერცოგი ლიხნოვსკი სწერს: წინაალმდეგ ბერნშტეინის რწმუნებისა, მე ვიცი, რომ ბერმან-ჰოლვეგის სურვილით დაწყებულ ომის გამო, კაიზერი სულით დაეცა და შეეძლო კატასტროფის თავიდან აცდენა. რომ მას ინგლისის შუამდგომლობის შესახებ ჩემი წინადადება მიეღო.

საფრანგეთის პრესა დაწვრილებით არჩევს ვერსალში გერმანელთა საქციელით გამოწვეულ ამბებს. რამდენიმე გერმანელმა გაიგო, რომ პოლიცია გაფიცვებითაა დაბანდებული და გაარღვია სადარაჯო რაზმი, დაიწყო ქუჩებში სვირნობა და ვერსალის ირონიულად დათვალიერება. სალამოთი „ოტელ-დე-რეზერგუარ“-ის დატოვების შემდეგ დელეგაციის წევრები ხმა მაღლა ყვიროდენ და ვერსალში დარჩენილ გერმანელებს ელაპარაკებოდენ. ქუჩაში თავმოყრილმა ბრბომ გამოსთქვა თავის გულისწყრომა, რომელიც უფრო გაძლიერდა, როდესაც ორმა გერმანელმა მემანქანე ქალმა ფრანგ აგალგიზრდებს ენის გამოგდება დაუწყეს. გზებზე მუშები ქვებს ყრიდენ, რათა გერმანელები ნელა წასულიყვნენ და აგურები დაუშინეს ორ ავტომობილს მოხვდა და სამი გერმანელი დაშავდა. ორი სამხედრო შოფერი შუშის ნატეხებიდან მძიმედ დაშავდა.

—

თფილისის რადიო სადგურმა გუშინ მოსკოვიდან ბუდაპეშტში გაგზავნილი ცნობა დაიჭირა სახალხო კომისარი ჩიჩერინი ატყობინებს უნგერეთ საბჭოთა მთავრობის მეთაურს ბელაკუნს, თუ როგორი შეთქმულება მზადდებოდა კონტრ-რევოლიუციონერების მიერ საბჭოთა მთავრობის წინაალმდეგ პეტროგრადში, რომელმაც უცხო ქვეყნების საელჩოები და განსაკუთრებით ანტატის აგენტები იღებდნენ მონაწილეობას. დეპეშაში აღნიშნულია აგრეთვე ისიც, თუ როგორ დაამარცხა საბჭოთა ჯარმა პეტროგრადზე მიმდგარი მტერი.

ახალი ამბავი

ქუთაისი.

✦ **მთავრობის თავმჯდომარე** ჩვენი მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია გუშინ თავის სამშობლო სოფლიდან ქუთაისში ჩამოვიდა. იგი ეწვია ქალაქის თვითმართველობას და სოც. დემოკრატიულ კლუბს. ბ. ჟორდანია გუშინვე საღამოო წყალტუბოს აბანოებზე უნდა გამგზავრებულიყო.

✦ **ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ტეხნიკური მიზეზების ბამო მხოლოდ 2 გვერდზე გამოდის. შემდეგი ნომერი ჩვეულებრივი ფორმატის გამოვა.**

✦ **საერობო არჩევნები დიდ ჯიხაიშში.** დიდი ჯიხაიშის თემში წვრილი ერთეულის არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ გაიყვანა 10 ხმოსანი, სოც.-დემოკრატებმა 20 ხმოსანი დანარჩენმა პარტიებმა კი არც ერთი.

✦ **დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები.** დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები მოხდება 10 აგვისტოს, რაც 3 დღეს გაგრძელდება. არჩევნები მოხდება სვანეთში, სოხუმის ოლქში, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, ბორჩალოს მაზრაში და მთა ადგილებში.

„მოლიპულ გზაზე“. დღეს ქალაქის თეატრში ხელმეორეთ წარმოდგენილი იქნება „მოლიპიულ გზაზე“

8 საათის საშუშაო დღე.

ქალაქის საბჭოს მიერ გამომუშავებული.

§ 1 მუშაობა სწარმოებს ყველა დარგის სავაჭრო დაწესებულებაში ზამთარ-ზაფხულობით 8—2 საათამდე და 4—6 საათ.

შენიშვნა: ა) ეს ნორმა ვრცელდება ყველა იმ სავაჭრო და სახელოსნო დაწესებულებებზედ, სადაც იყიდება გამზადებული საქონელი.

ბ) ამ დარგს ექვემდებარება აგრეთვე საათის, ოქრომჭედელთა და მეგრილიანტეთა სავაჭროები.

§ 2. საყასბოებში და ნედლი თევზის სავაჭროებში: მუშაობა სწარმოებს ზაფხულობით დილის 5—11 და საღამოს 6—8 საათამდე; ზამთრობით 7—12 და 4 7-დე.

§ 3. სანოვაგეს სავაჭროები: ხმელი თევზის, მწვანეულობის და საგასტრანომიო საგნების ზაფხულობით: დილის 5—11 და საღამოს 6—8-დე; ზამთრობით 7—12 და 4 7-დე.

§ 4. სამჭედლოებში: ზაფხულობით 5—11 და 5—7; ზამთრობით 7—1 საათამდე და 4—6-დე.

შენიშვნა. დასვენების დროს ზაფხულობით 11—დან 5 საათამდე ხოლო ზამთრობით 1—4 საათამოე, სამჭედლოები შეიძლება იყოს ღია, დაქირავებულ მომუშავეთ ეკრძალებათ მუშაობა.

§ 5. საპარიკმახეროები ზამთარ-ზაფხულობით ღიაა: დილის 8—2 საათამდე. და საღამოს 5—7-დე.

§ 6. პირველ ხარისხოვან სასტუმრო რესტორანები და საკანდიტერო—კაფეებში შემოღებულ უნდა იქნეს მუშაობისდა მიხედვით მორიგეობა დილის 7-დან ღამის 11 საათამდის.

§ 7. პურ-ღვინის სავაჭროები: ზამთარ ზაფხულობით 8 ს. საღ. 8 ს.

მომუშავეთათვის მორიგეობით 4 ს. დასვენებით.

§ 8. სასადილოები: ზამთარ-ზაფხულობით დილის 9 ს. საღ. 5 საათამდე.

§ 9. ფურნე თორნეები: პურის ცხობა წარმოებდეს დღისით. მუშაობა სწარმოებს ზამთრობით 6—2 და 2—10-დე ზაფხულობით დილის 5—საღამოს 9 საათამდე.

ღამით მუშაობა აკრძალულია.

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება ღამე მუშაობა.

შენიშვნა: თუ პურის გამყიდველი დაქირავებულია მაშინ შემოღებული უნდა იქნეს მორიგეობა.

§ 10. წვრილი სახელოსნოში: სახარაზოები, ქალის ტანისამოსის სამკერვალოები მეუნაგრეები, ქუდების სახელოსნოები (დედაკაც-მამაკაცების. კუბოს სახელოსნოები, საზეინკალო ქვაბის სახელოსნო ტყავის, თასმის სახელოსნოები, სამბატვრო, საღებავი, ობოიშჩიკები ეტლის სახელოსნო, ჟესტისი დასამზადებელი, საჩექმეები, ევროპიული და აზიური საკერვალოები, საკინძავი, ზამთარ-ზაფხულობით ღიაა დილის 8 საათიდან—საღამოს 6 საათამდე ზამთარ-ზაფხულობით.

§ 11. საკანდიტროები; ზაფხულობით 7—1 დე და 1—11 ს. ზამთრობით დილ. 8—12 საათამდე.

შენიშვნა: ყველა საკანდიტროებში სადაც მუშაობა გრძელდება აღნიშნულ დროს განმავლობაში მეპატრონე ვალდებულია შემოიღოს მორიგეობა მომუშავების, წინაალმდეგ შემთხვევაში მუშაობა სწარმოებს შემდეგნაირათ:

ზაფხულობით დილის 7 11 ს საღ. 7—11 ს.

ზამთრობით „ 8—12 6—10 „

დასვენების დროს საკანდიტერო იკეტება

§ 12. წვრილი საჩაიები ზაფხულობით 6 12 საათამდე 6—8 ს. ზამთრობით 7—12 ს. 4—7 ს.

§ 13. აბანოებში ზამთრობით დილის 8—12 საათამდე; ზაფხულობით დილის 7—11-დე.

შენიშვნა: შემოღებული უნდა იქნეს მორიგეობა: კვირა-უქმეობით იკეტება.

§ 14. კვირა-უქმე დღეების წინ მუშაობა ყველა დარგებში გძელდება ექვსი საათი. სადაც მორიგეობით არ სწარმოებს მუშაობა იქ სავაჭროები იღება დილის 8 ს. და იკეტება 2 საათზე.

ყოველგვარი სახელოსნო მოყვანილი §§ 4, 10-ში იღება დილით ჩვეულებრივათ 8 საათზე, იკეტება 4 საათზე 2 საათის. დასვენებით.

შენიშვნა: საყასბოები, საჩაიე, საკანდიტერო, საჭმელის დუქნები რჩება ისე, როგორც წინა დღეებში.

§ 15. კვირა-უქმე დღეებში ყველა დაწესებულებანი დაკეტილი უნდა იქნეს.

შენიშვნა: გამონაკლის შეადგენს: ა) საგასტრონომიო,

ხმელი თევზის სავაჭრო, საყასბოები,

ნედლი თევზის სავაჭრო და სამწვანეულო რომლებიც ღიაა ზაფხულობით 5— 11 ს.

ბ) კუბოების სახელოსნოები მორიგებით უნდა იქნეს გაღებული, თანახმათ მესტოლეთა გაწესრიგებისა.

გ) პურ-ღვინით სავაჭროები და რესტორანები იღება მორიგებით თანახმად პურ-ღვინით მოვაჭრეთა **ბიუროს** გაწესრიგებისა.

დ) სასადილოები ისე, როგორც სვეულებრივ დღეებში.

ე) საკანდიტროები ზაფხულობით დილის 7—11. საღამოს 7 11-დე.

§ 15. ამ სავალდებულო დადგენილების სისწორით ცხოვრებაში გატარება ევალება ქალაქის მილიციას საუბნო მეთვალყურე კომისიის დახმარებით.

§ 17 ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევი მიეცემა სამართალში თანახმად მთავრობის მიერ **29** ნოემბრის 1918 წ. კანონის (§) 29 მუხლის ძალით და დაისჯება ციხეში ჩაჯდომით **ერთი კვირიდან 6-ს, თვემდე.**

§ 18. თანახმათ მთავრობის დეკრეტისა 8 საათის საშუშაო დღის შესახებ 15 და 16 §§ ძალით მცირე წლოვანთათვის საშუშაო დღე ისაზღვრება იქვსი საათით.

შენიშვნა: მცირე წლოვანები **სამუშაოდან** სავსებით.

თავისუფლება ნაშვადღების 5 საათზე.

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე. **შ. სანეფლიძე.**

საბჭოს მდივანი. **ილ. ბახტაძე.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.